დოკ. №: 2202-071

თარიღი: 06.02.2022

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება და საექსპერტო დასკვნა

ტერიტორიის მისამართი	*ს/კ*	*მესაკუთრე*	*ფართობი*
თბილისი, სოფელი ფონიჭალა. ფონიჭალის საკრებულო; (ნაკვეთი 30/7) (ნაკვეთი N030/008)	*01.18.13.030.027*	*შპს "ვასაძის პური"*	*8101 მ²*

შეფასებულ მცენარეთა რაოდენობა: ***27***

დამკვეთი:

დოკუმენტის შემადგენლობა

შესავალი	*1*
დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი	*1*
ტერიტორიის აღწერა	*1*
ჩატარებული სამუშაო	*1*
მცენარეთა განაწილება სახეობათა ჯგუფების მიხედვით	*1*
მცენარეთა მდგომარეობა და გადარგვის შესაძლებლობა	*2*
დასკვნა	*2*
დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი	
დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია	

შემსრულებელი:

შპს დემასო ვუდ (405086419)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com

(+995) 593 18 18 70

შესავალი

დოკუმენტში ასახულია ქ. თბილისში, სოფელ ფონიჭალაში რეგისტრირებულ, ს/კ 01.18.13.030.027 მიწის ნაკვეთზე არსებულ მერქნიან მცენარეთა რაოდენობრივ-ხარისხობრივი შეფასების შედეგები.

დოკუმენტს დანართებად ახლავს მცენარეთა შეფასების უწყისი და ფოტოსურათები.

დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს 2000 წლის 1 დეკემბრის №594 კანონის შესაბამისად.

ტერიტორიის აღწერა

მიწის ნაკვეთს გააჩნია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულება და წარმოადგენს კერძო საკუთრებას. მისი ფართობია 8101 მ^2.

ტერიტორიას გააჩნია შემდეგი ზონალური კუთვნილება:

- *ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება:* პერიფერიული ზონა (პზ)
- *ფუნქციური ზონირება:* სამრეწველო ზონა 1 (ს-1)
- *შეზღუდვის ზონირება:* თვითმფრინავის ასაფრენი ზოლის შეზღუდვა

ჩატარებული სამუშაო

2022 წლის 3 თებერვალს, ვიზუალური დათვალიერების გზით ჩატარდა ს/კ 01.18.13.030.027 მიწის ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეების შეფასება. კერძოდ, თითოეულ შესაფასებელ მცენარეს მიენიჭა ინდივიდუალური ან ჯგუფური ნომერი, აღებულ იქნა მისი სატაქსაციო მონაცემები, აღიწერა მდგომარეობა, შეფასდა გადარგვის შესაძლებლობა, მოხდა თითოეული მცენარის დასურათება.

სულ, შეფასდა 27 მერქნიანი მცენარე. მათგან 9-ს ინდივიდუალური ნომრები მიენიჭა, ხოლო დანარჩენი 18 მცენარე 5 ჯგუფად გაერთიანდა და ჯამში 5 ჯგუფური ნომერი მიენიჭა (იხ. ცხრილი 1).

მცენარეთა აღწერის საბაზისო მონაცემები ასახულია მცენარეთა შეფასების უწყისში (იხ. დანართი 1). მათთვის მინიჭებული ნომრები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტთან ერთად მერიაში წარსადგენ ტოპოგეგმაზე, მცენარეთა შეფასების უწყისში და ასევე დაწერილი არის თვითონ მცენარეთა ქერქზე.

წინამდებარე დოკუმენტში, „მცენარის დიამეტრში“ იგულისხმება მიწიდან დაახლოებით 10 სმ სიმაღლეზე გაზომილი მცენარის ღეროს დიამეტრი.

ცხრილი 1. *თითო ნომრის ქვეშ ჯგუფებად გაერთიანებული მცენარეები.*

№	მც. №	სახეობა	ø	სიმაღლე	მცენ. რაოდ.	შენიშვნა
1	2	იუკა (Yucca)	4-8	1.0	7	საღი/ გადარგვადი
2	3	ვაზი (Vitis vinifera)	0-4		4	საღი/ ხილკენკრ.
3	5	ვარდი (Rosa)	0-4	1.5	2	საღი/ გადარგვადი
4	6	ვაზი (Vitis vinifera)	4-8		2	საღი/ ხილკენკრ.
5	8	იუკა (Yucca)	0-4	0.5	3	საღი/ გადარგვადი

მცენარეთა განაწილება სახეობათა ჯგუფების მიხედვით

აღწერილი 27 მერქნიანი მცენარე სახეობათა ჯგუფების მიხედვით ასე ნაწილდება:

- **7 ინდივიდი – ხილკენკროვანი სახეობები**
  - 1 ლეღვი (Ficus carica) N 1
  - 6 ვაზი (Vitis vinifera) NN 3 (4 ძირი), 6 (2 ძირი)

- **12 ინდივიდი – ბუჩქოვანი სახეობები**
  - 2 ვარდი (Rosa) N 5 (2 ძირი)
  - 10 იუკა (Yucca) NN 2 (7 ძირი), 8 (3 ძირი)
- **1 ინდივიდი – დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი**
  - 1 ამერიკული ნეკერჩხალი (Acer negundo) N 4
- **4 ინდივიდი – დაბალი ღირებულების ჯგუფის წიწვოვანი**
  - 4 კვიპაროზი (Cupressus) NN 7, 9, 10, 11
- **2 ინდივიდი – მაღალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი**
  - 2 კაკლის ხე (Juglans regia) NN 12, 13
- **1 ინდივიდი – მაღალი ღირებულების ჯგუფის წიწვოვანი**
  - 1 ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica) N 14

მათ შორის, **2 ძირი წარმოადგენს საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ სახეობას:**
  - 2 კაკლის ხე (Juglans regia) NN 12, 13

დასკვნა

ქვემოთ, პუნქტებად მოცემულია 2022 წლის 3 თებერვალს, ქ. თბილისში, სოფელ ფონიჭალაში, შპს “ვასაძის პურის” საკუთრებაში არსებულ, ს/კ 01.18.13.030.027 მიწის ნაკვეთზე, 27 მერქნიანი მცენარის ხარისხობრივი შეფასების შემაჯამებელი მონაცემები.

1. რაოდენობები სახეობათა ჯგუფებისა და მცენარეთა მდგომარეობის მიხედვით. შეფასებული 27 მერქნიანი მცენარიდან ყველა არის ჯანსაღი. მათ შორის:
- 7 ხილკენკროვანი (ყველა ჯანსაღი)
- 12 ბუჩქოვან სახეობათა წარმომადგენელი (ყველა ჯანსაღი)
- 1 დაბალი ღირებულების ფოთლოვანი (ჯანსაღი)
- 4 დაბალი ღირებულების წიწვოვანი (ყველა ჯანსაღი)
- 2 მაღალი ღირებულების ფოთლოვანი (ყველა ჯანსაღი)
- 1 მაღალი ღირებულების წიწვოვანი (ჯანსაღი)

2. საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები. აღიწერა საქართველოს წითელი ნუსხით დაცული 2 მცენარე, კერძოდ:
- 2 კაკლის ხე (Juglans regia) NN 12, 13

3. გადარგვადი მცენარეები. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მეთოდიკის გამოყენებით, გახარების მაღალი ალბათობის პირობით, 15 არახილკენკროვანი მცენარე შეიძლება დაექვემდებაროს გადარგვას - NN 2 (7 ძირი), 4, 5 (2 ძირი), 8 (3 ძირი), 11, 12. მათი დიამეტრი არის 25 სმ-ზე ნაკლები.

მეტი დეტალისთვის იხილეთ:
- დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი;
- დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია;
- დამკვეთის მიერ თბილისის მიერიაში ამ დასკვნასთან ერთად წარდგენილი ტოპო-გეგმა.

ექსპერტი:  ლევან გოშაძე (01008013049)

№2202-071 საექსპერტო დასკვნის

დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი - ნაკვ. 01.18.13.030.027

მისამართი:	თბილისი, სოფელი ფონიჭალა. ფონიჭალის საკრებულო; (ნაკვეთი 30/7) (ნაკვეთი N030/008)
საკადასტრო კოდი:	01.18.13.030.027
ფართობი:	8101 მ^2
მესაკუთრე:	შპს “ვასაძის პური” (ID № 237077961)
შეფასების მეთოდი:	ვიზუალური
შეფასების თარიღი:	03.02.2022
შემსრულებელი:	ლ. გოშაძე, ე. შარია

№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა
		10 სმ	1.3 მ		
1	ლეღვი (Ficus carica)	0-4		1.5	საღი/ ხილკენკრ.
2	იუკა (Yucca)	4-8		1.0	საღი/ 7 ძირი/ გადარგვადი
3	ვაზი (Vitis vinifera)	0-4			საღი/ 4 ძირი/ ხილკენკრ.
4	ნეკერჩხალი ამერ. (Acer negundo)	22.3	17.5	5.5	საღი/ გადარგვადი
5	ვარდი (Rosa)	0-4		1.5	საღი/ 2 ძირი/ გადარგვადი
6	ვაზი (Vitis vinifera)	4-8			საღი/ 2 ძირი/ ხილკენკრ.
7	კვიპაროზი (Cupressus)	27	19.1	8.5	საღი
8	იუკა (Yucca)	0-4		0.5	საღი/ 3 ძირი/ გადარგვადი
9	კვიპაროზი (Cupressus)	28	23.9	6.5	საღი
10	კვიპაროზი (Cupressus)	25.5	22.3	6.5	საღი
11	კვიპაროზი (Cupressus)	20.7	17.5	8.5	საღი/ გადარგვადი
12	კაკლის ხე (Juglans regia)	19.1	14.3	4.5	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი
13	კაკლის ხე (Juglans regia)	28	21.7	6.5	საღი/ წით. ნუსხა
14	ფიჭვი (Pinus eldarica)	29	24.5	6.5	საღი

ლევან გოშაძე *ექსპერტი;* ემზარ შარია *დირექტორი, შპს დემასო ვუდ*

№2202-071 საექსპერტო დასკვნის

დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია - ნაკვ. 01.18.13.030.027


































9


10


11


12


13


14


ვასაკეთებელი სამუშაოების დასახელება, სიგრძე, ფართობი, მოცულობა: ქ. თბილისი, ს/ნ 6 0 7 3 6 3 0 0 0	ადგილმდებარეობა: ქ.ა.ს. "ვაზისუბნის ქუჩის"	ქ.ა.ს. "ავლაბრის XXI"
დოკუმენტის დასახელება		ზ. 1:500
ტოპოგრაფიული გეგმა		ზ. ბიბლიოთეკა
დოკუმენტის ნომერი		ზ. ბიბლიოთეკა


ავლაბრის ბაღი
ავლაბრის ბაღი
ავლაბრის ბაღი